

პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - სტუდენტი) წახალისების საფუძვლებს, წახალისების ფორმებს, სტუდენტთა წახალისებაზე წადგენასა და წახალისების წესს.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა წახალისება და წახალისების ფორმები

1. სანიმუშო ყოფაქცევითების, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის წესდება პროფესიული სტუდენტის წახალისების შემდეგი ფორმები:
 - ა. მაღლობის გამოცხადება;
 - ბ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
2. სოციალურად დაუცველი პირებისთვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმა:
 - ა. სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი.
3. სტუდენტს, რომლის მიმართაც წახალისების ფორმად გამოყენებულია მაღლობის გამოცხადება, გადაეცემა მაღლობის სიგელი, რომლის ფორმაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
4. საანგარიშო წლის განმავლობაში ფასიანი საჩუქრების ჯამური ღირებულება ერთ პროფესიულ სტუდენტზე არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს;
5. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის წახალისების წესი

1. სტუდენტის წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:
 - ა) მაღლობის გამოცხადება ან/და ფასიანი საჩუქარი, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლეჯის დირექტორის მიერ;
 - ბ) სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი უნესდება თითოეულ სოციალურად დაუცველ პირს, რომელსაც მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. სტუდენტის წახალისებაზე წარდგენა და წახალისება

1. სტუდენტის წახალისება (მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება) ხდება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და დირექტორისთვის წარდგინებით;
2. სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი ავტომატურად უწესდება თითოეულ სოციალურად დაუცველ პირს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან წარმოადგენს ამონაწერს;
3. წახალისების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს;
4. წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენება შემდგომში არ ზღუდავს დისციპლინური გადაცდომისას სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას;
5. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის წახალისების შესახებ საზოგადოებას მიეწოდება კოლეჯის სტენდის/ვებ-გვერდის საშუალებით.